„მთავარი არხის" პოზიცია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში შემოსულ საჩივარზე

მიგვაჩნია, რომ განმცხადებლის მტკიცების საწინააღმდეგ, „მთავარი არხის" ჟურნალისტს, ნიკა გვარამიას, არ დაურღვევია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი, მე-3 და მე-11 პრინციპები. სადავოდ გამხდარი გადაცემა „მთავარი აქცენტები" ამა წლის 13 ივნისს წარიმართა დისკუსია-დებატის ფორმატში, სადაც დაცული იყო როგორც ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები, აგრეთვე, ჟურნალისტური აგრეთვე გამოხატვის თავისუფლების ფარგლები.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 1-ლი პრინციპი

პირველი პრინციპის თანახმად, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

ქარტიის პრინციპთა განმარტების შესაბამისად, უნდა ჩანდეს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია. ზუსტ ინფორმაციად, შეთანხმების თანახმად, ჩაითვლება ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია, რომელშიც იდენტიფიცირებულია ადამიანი, ადგილი, მოვლენა-ვისაც და რასაც ეხება ინფორმაცია.

„პოსტ-ფაქტუმის პირველი თემის გაგრძელება"- ამ სიტყვებით იწყება სადავოდ გამხდარი 13 ივლისის გადაცემა „მთავარი აქცენტები". გადაცემის ფარგლებში მოწვეულნი იყვნენ ჟურნალისტები, პოსტ-ფაქტუმში გასული სიუჟეტის მონაწილეები და გარდაცვლილი თამარ ბაგაჩაილიაშვილის ადვოკატები. გაიმართა დისკუსია-განხილვა იმ ინფორმაციისა, რომელიც მაყურებლისათვის გახდა ცნობილი პოსტ-ფაქტუმში დავით აბრამიშვილის მიერ მომზადებული სიუჟეტიდან. გადაცემაში შესაძლებელი გახდა სიუჟეტის ავტორისთვის მის მიერ მომზადებული სიუჟეტის შესახებ მეტი ინფორმაციის გაგება, ვინაიდან დისკუსიის გარკვეული ნაწილი კითხვა-პასუხის ფორმატში მიმდინარეობდა. ამ გადაცემაში არსებითად არ გაჟღერებულა ისეთი ინფორმაცია თამარ ბაჩალიაშვილის საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც იქამდე სხვა ეთერებით, თუ ამავე არხის სხვა გადაცემებით არ იყო ცნობილი მაყურებლისათვის. მოხდა ამ ინფორმაციების შეჯამება, ერთ სივრცეში თავმოყრა და ამ საკითხის ირგვლივ დისკუსიის წარმართვა, სადაც მოწვეულმა სტუმრებმა საკითხის ირგვლივ საკუთარი შეხედულებები დააფიქსირეს.

მე-3 პრინციპის სავარაუდო დარღვევის საკითხი

ქარტიის მესამე პრინციპი გულისხმობს, რომ ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყაროც დადასტურებულია. „წყარო დადასტურებულია" ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ ჟურნალისტმა იცის ვინ არის ამა თუ იმ ფაქტის წყარო, მაგრამ არაა ვალდებული გაამხილოს წყაროს ვინაობა. ამ მუხლის ქვემდებარეა წყაროს სანდოობის საკითხი. აქ არ იგულისხმება ადამიანი, ვისაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია და ვისაც ხელი მიუწვდება კონკრეტულ ინფორმაციაზე.

გადაცემის განმავლობაში გაჟღერებული ფრაზები ძირითადად ეყრდობოდა იმ ინფორმაციას, რომელიც დავით აბრამიშვილმა გააჟღერა საკუთარ სიუჟეტში, აღნიშნული გადაცემა იმავე დღეს გავიდა ეთერში, რაც სადავოდ გამხდარი გადაცემა „მთავარი აქცენტები". თავად სიუჟეტის ავტორი დავით აბრამიშვილი პირადად მონაწილეობდა დისკუსიაში, როგორც ინფორმაციის პირველწყარო. რაც შეეხება სხვა სტუმრებს, ისინი ძირითადად შეფასებებს

გამოხატავდნენ. შესაბამისად, ინფორმაციის ყველა წყარო იდენტიფიცირებულია და ცნობილია მაყურებლისათვის. ის ვიდეო-მასალა, რომლის ირგვლივაც მიმდინარეობდა დისკუსია, ასევე წარმოდგენილი იყო გადაცემაში და მაყურებელს თავად შეეძლო შეეფასებინა იგი და გაეკეთებინ სათანადო დასკვნები.

მე-11 პრინციპის სავარაუდო დარღვევის საკითხი

მე-11 პრინციპის დარღვევად მიიჩნევა ინფორმაციის განზრახ დამახინჯება.

საკუთარ განაცხადში საჩივრის ავტორი ნიკა გვარამიას მიერ გაკეთებული განცხადებების ინტერპრეტირებას აკეთებს და წარმოაჩენს მათ იმდაგვარად, თითქოს სინამდვილეში სწორედ ამ სახით გააჟღერა ისინი ჟურნალისტმა.

საყურადღებო და მნიშვნელოვანი გარემოება ამ შემთხვევაში ის კონტექსტია, რა კონტექსტშიც წარიმართა მთლიანი გადაცემა. ეს არის ერთგვარი რეზიუმირება შეფასება იმ ჟურნალისტური გამოძიებისა, რომელსაც თვეების განმავლობაში აწარმოებდნენ არხის ჟურნალისტები, კერძოდ, მასში აქტიურად იყო ჩართული დავით აბრამიშვილი, რომელმაც მოამზადა სიუჟეტი და სადავო გადაცემაში მისი პრეზენტირება მოახდინა. გარდაცვლილი თამარ ბაჩალიაშვილის ადვოკატები, რომლებიც ასევე იყვნენ წარმოდგენილები სადავო გადაცემაში, უკმაყოფილონი იყვნენ გამოძიების შედეგებით, მათ არ გადმოეცათ საქმის მასალები სრული მოცულობით და საქმის წარმოება დროზე ადრე შეწყდა, მათი შეფასებით. შესაბამისად, ისინი კოლაბორაციაში არხის ჟურნალისტებთან ერთად ცდილობდნენ თავიანთი რესურსით ნათელი მოეფინათ იმ ბევრი ბუნდოვანი გარემოებისთვის, რაც საქმეს უკავშირდებოდა.

კომპანია „ზეგ"-ის სახელი ბუნებრივია, ბაჩალიაშვილის გარდაცვალების კონტექსტში ძალიან ბევრჯერ გაჟღერდა, ვინაიდან სწორედ ამ კომპანიაში მუშაობდა იგი გარდაცვალებამდე და ის მტკიცებულებითი ბაზა, რაც მოგვეპოვება და გასაჯაროვდა მისი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, აჩენს გონივრულ ეჭვებს, რომ შესაძლოა, გარდაცვალება რაიმე სახით დაკავშირებული ყოფილიყო მის სამუშაო ადგილთან. ეს კითხვაა, რომელიც სრულიად ლოგიკურად ჩნდება ამ კონტექსტში. გადაცემის ავტორები ცდილობდნენ დაეკმაყოფილებინათ ლეგიტიმური საჯარო ინტერესი და საზოგადოებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია ამ გახმაურებული გარდაცვალების დეტალებზე, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც არაერთხელ ითქვა საჯაროდ, რომ შესაძლოა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ფიგურირებდეს აღნიშნულ საქმეში.

ჟურნალისტებს აქვთ უფლება დასვან კითხვები, მათ შორის გააკეთონ მწვავე შეფასებები და ეს სრულად ჯდება გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში. შეიძლება ვინმესთვის მათი განცხადებები მიუღებელი და შეურაცხმყოფელიც კი იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გამოხატვა უნდა დასანქცირდეს აღნიშნული მიზეზით. გადაცემის დასაწყისში ნიკა გვარამია ახსენებს იმ კონტექსტს, რომელიც ბოლო პერიოდის განმავლობაში არაერთხელ გაჟღერდა კომპანია „ზეგ"-თან მიმართებით, რომ შესაძლოა ეს კომპანია პორნო ინდუსტრიაში ყოფილიყო ჩართული. ეს მისი ვარაუდია, რომელიც ადრე ტელეეთერებით გავრცელებულ ინფორმაციას ეყრდნობა. ჟურნალისტს შესაძლოა ჰქონდეს თავისი მოსაზრეები და მეტიც, უფლება ავქს გაავრცელოს ეს შეხედულებები ტელეეთერით. გადაცემის დასაწყისშივე წამყვანი აცნობს მაყურებლებს ახალ ინფორმაციას საქმის ირგვლივ და ატყობინებს, რომ პორნო ინდუსტრიის ნაცვლად, ჟურნალისტური გამოძიების საფუძველზე გამოვლინდა, რომ

შესაძლოა ადგილი ჰქონდა სხვა სისხლის სამართლის დანაშაულს. რაც ასევე წამყვანის შეფასებაა იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც ცოტა ხნით ადრე ამავე არხის ეთერით გავრცელდა.

საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ ჟურნალისტის მიერ გაკეთდა თამარ ბაჩალიაშვილის ინტერვიუს მცდარი ინტერპეტაცია, რომ ის, რასაც წამყვანი ამბობდა, არ გამომდინარეობდა და არ იკითხებოდა ბაჩალიაშვილის მიერ ჩაწერილი ვიდეოდან. ვიდეო-რგოლები, რომლებზეც საჩივრის ავტორი საუბრობს, გავიდა მაუწყებლის ეთერში, მაყურებელს ჰქონდა საშუალება თავად ენახა, შეეფასებინა და დასკვნა გამოეტანა ამ ვიდეო-რგოლების საფუძველზე. ის, თუ რა სახით განმარტავს და რა აზრს გამოიტანს აქედან თავისუფალი დისკუსიის რეჟიმში ჟურნალისტი, მისი შეფასების საგანია. აზრი, შეფასებითი მსჯელობა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის საფუძველზე აბსოლუტური პრივილეგიითა დაცული.

აგრეთვე, ის დასკვნები რაც გაკეთდა ჟურნალისტური გამოძიების პროცესში, მონაწილე ჟურნალისტთა მოსაზრებას წარმოადგენს, რომელიც მათსავე მიერ მოძიებულ ფაქტებს ეყრდნობა. ფაქტია ის, რომ თამარ ბაჩალეიშვილი მუშაობდა შპს „ზეგ"-ში, ფაქტია, რომ მას ჰქონდა გახსნილი ანგარიში პლატფორმა „GitHub"-ზე, სადაც იგი მუშაობდა კოლაბორაციაში სხვა პირებთან ერთად, მათ შორის განმცხადებელ ნიკოლოზ გეჯაძესთან ერთად. ნიკა გვარამია ეყრდნობა აღნიშნულ ინფორმაციას და საკუთარ პოზიციას აფიქსირებს საკითხზე. თუკი განმცხადებელი არ იზიარებდა ამ პოზიციებს და შეეძლო საპირისპირო არგუმენტები წარმოედგინა ამ ფაქტების გასაბათილებლად, მას ჰქონდა შესაძლებლობა დასწრებოდა დისკუსიას. გადაცემაშიც აღინიშნა, რომ საჩივრის ავტორი მოწვეული იყო გადაცემაში, თუმცა მან თავისი სურვილით უარი თქვა მონაწილეობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ არ დარღვეულა ქარტიის მე-11 პრინციპი.